ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: შედარებითი და საერთაშორისო განათლება. Comparative and International Education.

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: განათლების მეცნიერებების დოქტორი. PhD in Education.

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 180 ECTS, აქედან სასწავლო კომპონენტს ეთმობა 40 კრედიტი, ხოლო კვლევით კომპონენტს 140.

პროგრამის ხელმძღვანელი: იზაბელა პეტრიაშვილი, ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

სწავლების ენა: ინგლისური

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

შედარებითი და საერთაშორისო განათლება პირველი ინგლისურენოვანი ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამაა განათლების სფეროში, რომელიც შემუშავდა ამერიკელი კოლეგების მონაწილეობით. პროგრამით გათვალისწინებული საკვლევი პრობლემების თემატიკა უაღრესად მრავალფეროვანი და მნიშვნელოვანია. პროგრამა შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან და უზრუნველყოფს დოქტორანტებისა და ახალგაზრდა მეცნიერების ჩართულობას კვლევის პროცესში.

წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა წინა პლანზე წამოწევს ინტერდისციპლინურ, შედარებით და კულტურათაშორის კვლევას, რომელიც ფოკუსირებულია განათლების შესწავლაზე გლობალიზაციის, მდგრადი განვითარებისა და სოციალური თანასწორობის პირობებში. აკადემიური კურიკულუმი შედგენილია იმგვარად, რომ ხელი შეუწყოს საერთაშორისო საველე კვლევას და დოქტორანტები ჩართოს განათლების სფეროში გლობალური ეკონომიკის პოლიტიკური, სოციოლოგიური, ისტორიული და ლინგვისტური ფაქტორების გავლენის შესწავლაში ადგილობრივ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე.

აღნიშნული სადოქტორო პროგრამის მიზნებია:

- შედარებითი და საერთაშორისო განათლების დოქტორის მომზადება, რომელსაც ექნება განათლების სფეროს სრულყოფილი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა;
- შედარებითი და საერთაშორისო განათლების თეორიისა და პრაქტიკის დაკავშირება და სფეროსათვის საკვანძო უნარების განვითარება, როგორიცაა დაგეგმვა, პოლიტიკის ანალიზი, პროგრამების განვითარება, მონიტორინგი/ შეფასება და ადვოკატირება;
- დოქტორანტის ინდივიდუალური სამეცნიერო ინტერესების განვითარება და ხელშეწყობა;

- კვლევის თანამედროვე და ინოვაციური მეთოდების საფუძვლიანი შესწავლა;
- უმაღლესი კვალიფიკაციის თანამედროვე სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადება, რომლებიც კონკურენტუნარიანი იქნებიან როგორც საქართველოს, ასევე უცხოეთის შრომის ბაზარზე.

ახალი სადოქტორო პროგრამა „შედარებითი და საერთაშორისო განათლება“ სტუდენტებს სთავაზობს კვლევის ფართო სფეროებს როგორიცაა:

1. **გლობალური განათლება:** ამზადებს დოქტორანტს კვლევების წარმოებისთვის, სწავლებისა და მუშაობისთვის კოლეჯებში/უნივერსიტეტებში, სკოლებში, გამომცემლობებში და საგანმანათლებლო სააგენტოებში, რომლებიც ქმნიან, ავითარებენ და ახორციელებენ გლობალურ საგანმანათლებლო პროგრამებს;
2. **კროს-კულტურული გაცვლითი პროგრამები და ტრენინგები:** ამზადებს დოქტორანტს კვლევის, სწავლების საგანმანათლებლო და კულტურის სფეროს ორგანიზაციებში სამუშაოდ, რომლებიც ხელს უწყობენ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებს და კროს-კულტურულ ტრენინგებს;
3. **განათლება და საერთაშორისო განვითარება:** ამზადებს დოქტორანტს კვლევების წარმოებისთვის, სწავლებისა და მუშაობისთვის საერთაშორისო სამთავრობო სააგენტოებში, ორგანიზაციებსა და ფონდებში, რომლებიც განვითარებად ქვეყნებს აღმოუჩენენ დახმარებას მდგრადი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად.

პროგრამის ინტერდისციპლინური და მულტიდისციპლინური ბუნების გამო კვლევა სტუდენტთა სპეციალიზაციისა და ინტერესების მიხედვით შესაძლებელია განხორციელდეს სხვა რელევანტური (ქვე)თემების ირგვლივ, მაგალითად, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური განვითარება, კონფლიქტების გადაწყვეტა, ინსტიტუციური განვითარება, ენა და კულტურა, ისტორია.

სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

აღნიშნული პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს მკვლევარები, მასწავლებლები, საგანმანათლებლო პოლიტიკის დამგეგმავები, განათლების სამინისტროში დასაქმებული საჯარო მოხელეები, უნივერსიტეტის ადმინისტრაციული მუშაკები, რომლებიც დაინტერესებული არიან სხვადასხვა ქვეყნის განათლების საკითხებით. პროგრამის ინტერდისციპლინურობიდან გამომდინარე, კანდიდატები შესაძლებელია შეირჩნენ სხვადასხვა სფეროდან – პედაგოგიკის, სოციოლოგიის, ანთროპოლოგიის, პოლიტიკის მეცნიერებების, ეკონომიკის, ისტორიის, ლინგვისტიკის, ან სხვა მოცემული დარგისთვის რელევანტური სფეროდან. დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს ”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობებია:

- ნებისმიერი დარგის მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი;

- დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დადასტურება (შესაბამისი გამოცდის ჩაბარება ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერტიფიკატის წარმოდგენა);
- სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის (შესაბამისი ქვედარგის ხელმძღვანელის) თანხმობა;
- გასაუბრების შედეგების მიხედვით დოქტორანტურაში მიმღები კომისიის მიერ გაწეული რეკომენდაცია. გასაუბრება ფასდება 30 ქულიანი სისტემით: 10 ქულა – სამოტივაციო წერილი, 10 ქულა – სავარაუდო საკვლევი თემის პრეზენტაცია, 10 ქულა – კომუნიკაციის უნარი. მინიმუმი გამსვლელი ქულა – 16.

სწავლის შედეგი:

ა) ცოდნა და გაცნობიერება

- კურსდამთავრებული სიღრმისეულად ფლობს განათლების სფეროში არსებულ თანამედროვე თეორიებს და აქვს განათლების სფეროში მეცნიერების უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ფართო, ღრმა და სისტემური ცოდნა;
- აქვს შედარებითი და საერთაშორისო განათლებისა და კვლევის მიმართულებით არსებული თანამედროვე ტენდენციების, თეორიების, მიდგომების ღრმა და კომპლექსური ცოდნა;
- სიღრმისეულად იცის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის საქართველოს, საგანმანათლებლო სისტემები, მათი საკანონმდებლო ბაზები და ამ სისტემების აგების პრინციპები;
- აქვს განათლების პოლიტიკის სფეროსთან დაკავშირებული ძირითადი ცნებებისა და თეორიების შესახებ ცოდნა;
- სრულად ფლობს განათლების კვლევების მეთოდოლოგიის თეორიულ საფუძვლებს, კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების ინოვაციურ მეთოდებს;
- იცის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სწავლებისა და შეფასების თეორიები, ძირითადი პრინციპები;
- გაცნობიერებული აქვს ახალი ცოდნის შექმნის, ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მიდგომების შემუშავების ძირითადი პრინციპები და თეორიული საფუძვლები.

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

პროგრამის დასრულების შემდეგ დოქტორანტს:

- აქვს შედარებითი და საერთაშორისო განათლების სფეროში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
- აქვს მსოფლიო კონტექსტში საგანმანათლებლო სისტემების ხედვისა და შედარების უნარი;
- შეუძლია საგანმანათლებლო სისტემის ყველა დონეზე განათლების ხარისხის შეფასება;
- აქვს განათლების პოლიტიკის სფეროსთან დაკავშირებული ძირითადი ცნებებისა და თეორიების პრაქტიკაში ინტეგრირების უნარი;

- შეუძლია დამოუკიდებლად დაგეგმოს და აწარმოოს კვლევა ინოვაციური კვლევის მეთოდებისა და ახლებური ანალიტიკური მიდგომების გამოყენებით;
- აქვს სამეცნიერო სტატიის წერის, კონფერენციის მასალების წარდგენის და კვლევითი ნაშრომის ანგარიშის წერის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი აკადემიური უნარ-ჩვევები;
- შეუძლია დარგში არსებული კომპლექსური პრობლემის გადაჭრა დამოუკიდებლად და ორიგინალური გზით;
- შეუძლია ამოცანათა დაგეგმვა და განხორციელება დამოუკიდებლად პროფესიულ დონეზე;
- შეუძლია რთულ და მოულოდნელ, სპეციალიზებულ კონტექსტში მოქმედება;

გ) დასკვნის უნარი:

პროგრამის დასრულების შემდეგ დოქტორანტს აქვს:

- განათლების სფეროს სხვადასხვა ასპექტების სისტემურ ანალიზზე დაყრდნობით სათანადო დასკვნის გამოტანის უნარი;
- პროფესიულ სფეროში პრობლემების ხედვისა და მისი დამოუკიდებლად სწორი და ეფექტური გზით გადაწყვეტის უნარი;
- რთული, არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების ანალიზისა და ადეკვატური დასკვნების გამოტანის უნარი;
- რთული სამეცნიერო პრობლემების გადაჭრის, კრიტიკული ანალიზისა და მათი გადაჭრისათვის ახალი იდეებისა და მეთოდების, ეფექტური გზების შემუშავებისა და გადაწყვეტილებების მიღების უნარი.

დ) კომუნიკაციის უნარი:

პროგრამის დასრულების შემდეგ დოქტორანტს
- აქვს პროფესიულ სფეროში მშობლიურ და უცხოურ ენაზე კომუნიკაციის უნარი;
- შეუძლია აუდიტორიასთან კომუნიკაცია სწავლების/პრეზენტაციის დროს;
- აქვს საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში მონაწილეობის უნარი;
- შეუძლია რთული და სადავო ინფორმაციის მკაფიო და ეფექტური გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის, აქვს საკუთარი მეცნიერული ნაშრომის სამეცნიერო წრეებისა და ფართო საზოგადოების წინაშე დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენის უნარი;
- ფლობს პრეზენტაციისა და დისკუსიის თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიებს.
- იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.
- შეუძლია საკუთარი პოზიციისა და ხედვის წარმოდგენა, დაცვა და მეცნიერული არგუმენტაცია.

ე) სწავლის უნარი

პროგრამის დასრულების შემდეგ დოქტორანტს
- შეუძლია სწავლის საჭიროებების განსაზღვრა, სწავლის დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება;
- შეუძლია შედარებითი და საერთაშორისო განათლების სფეროში არსებულ უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების გენერირება სწავლის, პრაქტიკული საქმიანობისა თუ კვლევის პროცესში;

- აქვს დროისა და რესურსების ეფექტური მართვის უნარი;
- შეუძლია საკუთარი საქმიანობის რეფლექსია, შეფასება და თვითკრიტიკა;

ვ) ღირებულებები:

- თვალსაზრისთა მრავალფეროვნების აღიარება და განსხვავებების მიმართ შემწყნარებლობა;
- ობიექტურობა და მიუკერძოებლობა;
- ეთიკის ნორმების დაცვა კვლევისა და შეფასების, აკადემიური კომუნიკაციისა და ნაშრომის პრეზენტაციის პროცესში.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

სადოქტორო პროგრამის სტუდენტი ხელმძღვანელთან ერთად შეიმუშავებს სწავლისა და კვლევის ინდივიდუალურ გეგმას, რომელიც ყველაზე უკეთ შეესაბამება მის პირად ინტერესებსა და მიზნებს. დოქტორანტმა დისერტაციაში უნდა ასახოს რეალურად არსებული პრობლემების საკუთარი ხედვა და მათი გადაჭრის გზები.

საუნივერსიტეტო სავალდებულო და ძირითადი კურსები უზრუნველყოფს საფუძვლიანი ცოდნის მიღებას კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების შესახებ, აცნობს სტუდენტებს საერთაშორისო, კროს–კულტურული და კროს–ნაციონალური განათლების საკითხებსა და პროცესებზე კვლევის მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის უახლეს მეთოდებს.

აღნიშნული სადოქტორო პროგრამის ფარგლებში დოქტორანტები განახორციელებენ თეორიაზე დაფუძნებულ ემპირიულ კვლევებს ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის ხელმძღვანელობით, რაც მათ მისცემს საშუალებას კვლევის ეს მეთოდები გამოიყენონ ემპირიულ სიტუაციებში დისერტაციაზე მუშაობისას. თითოეულ სტუდენტს მიეცემა საშუალება ერთი სემესტრი გაატაროს იმ ქვეყნის უნივერსიტეტში, რომლის პრობლემატიკის კვლევასაც ეძვნება მისი სადისერტაციო ნაშრომი. კვლევისას სტუდენტები საკუთარი მიზნების შესაბამისად გამოიყენებენ რაოდენობრივი, თვისებრივი, სტატისტიკური და შედარების მეთოდებს.

სადოქტორო პროგრამა სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების, სემინარებისა და კოლოკვიუმების, ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის, რეცენზირებად/რეფერირებად ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების და სხვა კვლევითი თუ სასწავლო აქტივობებით ხელს უწყობს და აუმჯობესებს სწავლისა და კვლევის შედეგების მიღწევის გზებს. აღნიშნულ აქტივობებში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი: ვერბალური, პრაქტიკული, წიგნზე/ელექტრონულ მასალებსა და წყაროებზე მუშაობის, ანალიზისა და სინთეზის, დისკუსიის, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), შემთხვევის ანალიზის (case-study) მეთოდები, ჯგუფური მუშაობა, დემონსტრირების მეთოდი მულტიმედიის გამოყენებით, ელექტრონული სწავლება (ჰიბრიდული) - თსუ ელექტრონული სწავლების პორტალი და სხვა. პროფესორი შეიძლება იყენებდეს ერთ ან რამდენიმე მეთოდს, ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო-კვლევითი ამოცანის შესასრულებლად.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სასწავლო კომპონენტი: სასწავლო კურსების შემთხვევაში, დოქტორანტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად:

91-100– ფრიადი, A;
81-90 – ძალიან კარგი, B;
71-80 – კარგი, C;
61-70 – დამაკმაყოფილებელი, D;
51-60 – საკმარისი, E;
41-50 – ვერ ჩააბარა, FX;
0-40 – ჩაიჭრა, F.

სასემინარო ნაშრომი ფასდება ასქულიანი სისტემით: ხელმძღვანელის მიერ 60 ქულის (დადებით შეფასებად ითვლება 31 ქულა), ხოლო სემინარის პრეზენტაცია 40 ქულის ფარგლებში წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით.

დისერტაციის შეფასება: სადისერტაციო კომისიის წევრები დისერტაციას აფასებენ ანონიმურად ასქულიანი სისტემით. დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო კომისიის ხმის დამთვლელ კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული. სადისერტაციო ნაშრომის შეფასება ხდება საერთო/საუნივერსიტეტო სტანდარტის შესაბამისად:

ქულები	შეფასება
91-100	Summa cum laude - ფრიადი (შესანიშნავი ნაშრომი)
81-90	Magna cum laude - ძალიან კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება)
71-80	Cum laude - კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება)
61-70	Bene - საშუალო (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს)
51-60	Rite - დამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს)

41-50	Insufficienter - არადამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს)
40 და ნაკლები	Sub omni canone - სრულიად არადამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს)

ფრიადი, ძალიან კარგი, კარგი, საშუალო და დამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება განათლების მეცნიერებების დოქტორის აკადემიური ხარისხი.

არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშევებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება.

სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

სადოქტორო პროგრამის კომპონენტები:

სასწავლო კომპონენტს ეთმობა 40 კრედიტი, ხოლო კვლევით კომპონენტს 140.

დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი გულისხმობს შემდეგ სალექციო კურსებს და სხვა სახის აქტივობებს:

სავალდებულო კურსები/აქტივობები (30/35 ECTS):

N	სასწავლო კურსის დასახელება/აქტივობის სახე	ECTS
1	სწავლების მეთოდები	5
2	დოქტორანტის სემინარი	10
3	პროფესორის ასისტენტობა	5
4	აკადემიური წერა*	5
5	შედარებითი და საერთაშორისო განათლება	5
6	ინტერკულტურული განათლება და სწავლება:თეორია და პრაქტიკა	5

* აღნიშნული კურსები სავალდებულოა მათთვის, ვისაც არ აქვს მოსმენილი სწავლების წინა საფეხურზე

სასწავლო კომპონენტის სემინარი გულისხმობს მოხსენებას შესაბამისი მეცნიერების სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე, ამა თუ იმ სამეცნიერო პრობლემის კვლევის თანამედროვე მდგომარეობაზე. დოქტორანტის სასემინარო ნაშრომი არ უნდა იყოს დისერტაციის შემადგენელი ნაწილი.

არჩევითი კურსები / აქტივობები

N	სასწავლო კურსის დასახელება /აქტივობის სახე	ECTS
1	საზღვარგარეთის აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში მოსმენილი სადოქტორო კურსები	5–10
2	საქართველოს სხვა აკრედიტებულ უნივერსიტეტებში მოსმენილი სადოქტორო კურსები	5–10
3	პროფესორის ასისტენტობა	5

კვლევითი კომპონენტი (140 ECTS)**:**

	აქტივობის სახე	ECTS
1	დოქტორანტის I კოლოკვიუმი	20
2	დოქტორანტის II კოლოკვიუმი	20
3	სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა	100

კოლოკვიუმების საფაკულტეტო სქემა მოიცავს: 1. საკვლევი პრობლემის დასმას, აგრეთვე მის ასახვას სამეცნიერო ლიტერატურაში; 2. კვლევით პროექტს, მომავალი სადისერტაციო შრომის ზოგადი სტრუქტურისა და მეთოდოლოგიის ჩათვლით; 3. კვლევის შედეგებსა და ანალიზს.

ინდივიდუალურ სასწავლო-კვლევით გეგმას, საერთო საუნივერსიტეტო სქემის ფარგლებში, ადგენს დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელთან და/ან სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

დასაქმების სფეროები:

სადოქტორო პროგრამის მიზანია მოამზადოს თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კვალიფიციური სპეციალისტი შედარებითი და საერთაშორისო განათლების მიმართულებით, რომლებიც დასაქმდებიან უმაღლეს სასწავლებლებში, ორგანიზაციებში, რომლებიც მუშაობენ განათლების კვლევებისა და პოლიტიკის მიმართულებით, სამთავრობო დაწესებულებებში, განათლების სამინისტროებში და საერთშორისო განვითრების ორგანიზაციებში.

სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების ფაკულტეტი განთავსებულია თსუ-ს მე-3 კორპუსში, რომელიც კაპიტალურად გარემონტდა 2016 წელს. განახლების შედეგად ფაკულტეტის სარგებლობაში მყოფი შენობა და მიმდებარე ტერიტორია სრულად აკმაყოფილებს სწავლებისა და კვლევის წარმართვისთვის საჭირო მოთხოვნებს, ფლობს აღნიშნული პროგრამის წარმატებით რეალიზებისათვის აუცილებელ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, როგორიცაა, სასწავლო და კვლევითი ფართი, ტექნიკური აღჭურვილობა და პროგრამული უზრუნველყოფა.

თსუ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ბაზები, რესურს–ცენტრები და სხვა.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს სთავაზობს შემდეგ ელექტრონულ რესურსებს: Jstor, Ebsco. საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ რესურსებთან წვდომა, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა; სამეცნიერო ხელმძღვანელის პირადი ბიბლიოთეკა; კომპიუტერული ცენტრი; აუდიტორიები.

დამატებითი ინფორმაცია: სადოქტორო პროგრამაზე შესაძლებელია 5 დოქტორანტის მიღება.

სადოქტორო პროგრამის მონაწილე აკადემიური პერსონალი:

სადოქტორო პროგრამაში მონაწილეობენ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერების ფაკულტეტის პედაგოგიკის ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი იზაბელა პეტრიაშვილი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის სხვა პროფესორები და თსუ სხვა ფაკულტეტებიდან მოწვეული პროფესორები. ასევე, მოწვეული უცხოელი პროფესორები: ანა გილ–გარსია, ჩიკაგოს ჩრდილო–აღმოსავლეთ ილინოისის უნივერსიტეტის (აშშ) პროფესორი, ჯეისონ რიჩარდსონი, სან–დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის (აშშ), ასოცირებული პროფესორი.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა:

სადოქტორო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც წარმოადგენს თსუ-ს ბიუჯეტის ნაწილს.